



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 88

2016 წლის 5 სექტემბერი
ხაშური




ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს.კ. 69.09.55.008) ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2016 წლის 12 აგვისტოს №2895/09 მოხსენებითი ბარათის და არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის“ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს მიხანშეწონილად მიაჩნია ხცისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის (ს.კ. 69.09.55.008) მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას (ს.კ 243918098) სოფ. ხცისში ახალგაზრდული საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციონირებისთვის.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებაში არსებული ხცისის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის (ს.კ. 69.09.55.008) მეორე სართულზე არსებული 63,5კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის შესრულებასთან;
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე